განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N7

თბილისი, 16 თებერვალი 2023

განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

1. **რუსუდან სანაძე** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ხათუნა ბარაბაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერი, **საბჭოს მდივანი;**
3. **ვლადიმერ ადეიშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
4. **მადონა მიქელაძე** - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტიგანათლების ცენტრის დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტისასოცირებული პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
5. **ქეთევან ჭკუასელი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლებისმეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
6. **ზაქარია ქიტიაშვილი** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საგნისსწავლების მეთოდიკა“ ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
7. **სიმონ ჯანაშია** - განათლების დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის საზოგადოებრივი პროექტების კოორდინატორი, **საბჭოს წევრი;**
8. **ალუდა გოგლიჩიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, **საბჭოს წევრი;**
9. **სოფიკო ლობჟანიძე** - მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი განათლების მეცნიერებების მიმართულებით, განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი, **საბჭოს წევრი;**
10. **ხათუნა დოლიძე** - ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ადრეული ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, სერთიფიცირებული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტი, ჯოენის სამედიცინო ცენტრის ფსიქო-სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი;**
11. **ირმა ქურდაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**

12. **ეკატერინე მიქაუტაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარზაციის სამსახურის სპეციალისტი, **საბჭოს წევრი;**
13. **მაია შუხოშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მკვლევარი, **საბჭოს წევრი;**
14. **რევაზ აფხაზავა** - კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia) - გამგეობის წევრი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM) გამგეობის თავმჯდომარე, პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი მასწავლებელთა პროფესიული სერვისების დეცენტრალიზაციის საკითხებში, **საბჭოს წევრი;**
15. **ოთარ ბეჟიტაშვილი** - საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

    ქეთევან შარვაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ბაგა-ბაღების განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულებელი, **საბჭოს წევრი;**
16. **ნინო ბეგლარაშვილი** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის ქვეპროგრამის მენეჯერი, **საბჭოს წევრი.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ქეთევან ფანჩულიძე-** კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი;
- **ნიკოლოზ ფარჯანაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 სთ-ზე.

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 29 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 16 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარის, რუსუდან სანაძემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ შეძლო სხდომის წაყვანა და ითხოვა საბჭოს წევრთაგან საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრა. საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა სოფიკო ლობჟანიძე. მან აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 თებერვლის NMES 9 23 0000105670 ბრძანებით, „განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს შექმნის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 28 მარტის №318803 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, გაიზარდა საბჭოს უფლებამოსილების არეალი და საბჭოს ასევე დაევალა დეტალურ სფეროში „განათლების მეცნიერება" (0111) შესაბამისად ინიცირებული საკითხების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა წარადგინა დღის წესრიგი, კერძოდ, იუნესკოსთან ცენტრის მიმოწერა განათლების ინტერდისციპლინური საბჭოს მიერ ინიცირებულ საკითხზე, რომელიც ეხებოდა დეტალური სფეროს „0111 განათლების მეცნიერება“ აღმწერის ცვლილებას და ამასში ეროვნული საჭიროებებისა და სფეროში არსებული გამოცდილების გათვალისწინებას. საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომაზე განსახილველ მე-2 საკითხად განსაზღვრა დეტალური სფეროს 0111.1.1. განათლების მეცნიერებები, ფორმულირების ცვლილება ქართულ და ინგლისურ ენებზე და დასახელების მხოლობით რიცხვში ჩამოყალიბება; მე-3 საკითხად განისაზღვრა განათლების პოლიტიკის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესახებ საბჭოს წევრთა კომენტარების განხილვა და მე-4 საკითხად დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის კენჭისყრა.

მოისმინეს

იუნესკოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა მიმოწერასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს ინიციატივას დეტალური სფეროს „0111 განათლების მეცნიერება“ აღმწერის ცვლილებას და ამ ცვლილების მართებულობის დაზუსტებას. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსმა, ქეთევან ფანჩულიძემ 2023 წლის 10 იანვარს წერილით მიმართა იუნესკოს, როგორც („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) ავტორს, რომელსაც ეყრდნობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი და ითხოვა დაზუსტება, განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს აღმწერის: „„შეისწავლის სწავლება-სწავლის პროცესსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას“ განათლების ინტერდისციპლინური საბჭოს მიერ ინიცირებული შემდეგი შინაარსის ცვლილება: „განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, განათლების პოლიტიკას, განათლების ლიდერობასა და ადმინისტრირებას.“ ეროვნულ დონეზე ამგვარი კორექტივები ხომ არ „გაართულებს“, ან „შეუძლებელს“ ხომ არ გახდის ISCED-ის განათლებისა და ტრენინგის სფეროებთან შესაბამისობის დადგენას?

აღნიშნულთან დაკავშირებით იუნესკოს პასუხის თანახმად, მოცემულ ეტაპზე მათთვის რთულია კონკრეტული მითითითებების მიცემა, თუმცა, ეროვნულ დონეზე ამგვარი დაზუსტებების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ქვეყნებს, რათა ზედმიწევნით აისახოს ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციები. თუმცა საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციების შესადარისობისთვის საჭირო იქნება საერთაშორისო კლასიფიკატორის მიმდინარე ვერსიის გადახედვა და საჭირებისამებრ მისი განახლება. ამ მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი რომლის მიზანია, დანერგვიდან 10 წლის თავზე შეაფასოს ISCED 2011 -სა და ISCED-F 2013-ის იმპლემენტაცია და შეიმუშაოს მათი გაუმჯობესების, ხარისხის უზრუნველყოფისა და გამოყენების რეკომენდაციები... „...Although it is difficult for UIS to provide specific guidance at this stage, this type of changes should be possible at the national level in order to reflect accurately what exist in your country. Yet, at the international level and for cross-country comparability purpose, it will be necessary to review the current version of the classification and provide updates where necessary. To this perspective, the UIS is establishing a Review Committee for ISCED 2011 and ISCED-F 2013 in order to take stock of the 10 years implementation of the two classifications and formulate recommendations on quality assurance of their application, need for revisions (including of concepts, definitions, and fields of education and training), and potential areas for further developments. UIS also expects to task the Committee to assure that national, regional, and global views are reflected in the review of the classifications....“

მან სთხოვა საბჭოს წევრებს ემსჯელათ განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს აღმწერის საბჭოს მიერ შემუშავებული ფორმულირების „განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, განათლების პოლიტიკას, განათლების ლიდერობასა და ადმინისტრირებას“ შესახებ. საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს

ქეთევან ჭკუასელმა, სიმონ ჯანაშიამ, ზაქარია ქიტიაშვილმა, რევაზ აფხაზავამ, მადონა მიქელაძემ და ირმა ქურდაძემ.

ქეთევან ჭკუასელის თქმით, მართალია საბჭოს წინა სხდომაზე შეთანხმდა აღნიშნული ჩანაწერი, მაგრამ იგი ისურვებდა სფეროების ჩამონათვალის ნაკლებ დეტალიზაციასა და უფრო ზოგადი ფორმულირებით ჩამოყალიბებას, რაც დაწესებულებებს მრავალფეროვანი შინაარსის პროგრამების განხორციელების საშუალებას მისცემს. მაგალითად აღნიშნული ჩანაწერით დაწესებულებები ვერ შეძლებენ განათლების ფილოსოფიაში და განათლების სოციოლოგიის მიმართულებით პროგრამების განხორციელებას, და იძულებულნი იქნებიან ინტერდისციპლინურ დეტალურ სფეროში დაამატონ მოცემული სწავლის სფერო ხოლო თავად სწავლება-სწავლის პროცესი და განათლების პროცესი ფილოსოფიის გარეშე წარმოუდგენელია. ქეთევან ჭკუასელის თქმით, დასაზუსტებელია ეს ჩანაწერი გულისხმობს თუ არა განათლების კვლევებს, ასევე ჩანაწერიდან არ იკითხება გულისხმობს თუ არა განათლების ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას. მისი თქმით აღნიშნული ჩანაწერით კიდევ უფრო ვაკონკრეტებთ და ვზღუდავთ სფეროს არეალს, მან სთხოვა საბჭოს წევრებს შემოეთავაზებინათ უფრო ზოგადი შინაარსის ჩანაწერი.

ირმა ქურდაძის აზრით ბავშვთა უფლებების დეტალური სფეროს დამატების შესაძლებლობასაც იძლეოდეს განახლებული აღმწერი, რადგან მას ჰყავს დოქტორანტი რომელიც ამ ტემაზე მუშაობს.

სიმონ ჯანაშიას შემოთავაზებით მიზანშეწონილია აღმწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას, ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკას, განათლების ლიდერობას, ადმინისტრირებას, განათლების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ თუ ფილოსოფიურ ასპექტებს.”

რევაზ აფხაზავას თქმით, აღმწერში კონკრეტული დეტალური სფეროების ჩამოთვლა მიზანშეწონილი არ არის, რადგან დროთა განმავლობაში გახდება შემზღუდავი, აგრეთვე არსებობს იმის რისკიც, რომ ეს ჩამონათვალი არ იყოს სრულყოფილი და მომცველი. შესაბამისად აჯობებს ზოგადი, გახსნილი შინაარსის აღმწერის შემუშავება.

ზაქარია ქიტიაშვილის მოსაზრებით განათლების საზოგადოებრივი, ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ ფილოსოფიური ასპექტები თავის თავში მოიცავს პოლიტიკას, ლიდერობასაც და ადმინისტრირებას ამიტომ გამეორება გამოდის.

ქეთევან ჭკუასელი დაეთანხმა რევაზ აფხაზავასა და ზაქარია ქიტიაშვილის მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ მიმდინარე ჩანაწერი გაუმართავია, რადგან ზოგი სფერო დეტალურად არის ჩამოთვლილი, ზოგი კი იგულისხმება, ასევე შინაარსი იმეორებს არსებულ ფორმულირებებს.

საბჭოს წევრი სიმონ ჯანაშია დაეთანხმა ქეთევან ჭკუასელს. მოსაზრებით მიზანშეწონილია ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს.”

საბჭოს წევრმა ალუდა გოგლიჩიძემ ითხოვა დაზუსტება პოლიტიკურ ასპექტებში განათლების პოლიტიკა იგულისხმება თუ არა, რაზეც სიმონ ჯანაშიასგან მიიღო დასტური.

მადონა მიქელაძემ აღნიშნა, რომ აღმწერი მოიცავს დიდაქტიკას, ლიდერობას და ადმინისტრირებას და წინა სხდომაზე იგი გამოვიდა ინიციატივით რომ სფერომ უმაღლესი განათლების საფეხურზე დაფაროს სწავლის სფეროს „პროფესიული განათლება და მომზადება“ სპეციფიკაც. ცენტრის წარმომადგენელმა ნინო გოგლიჩიძემ განმარტა, რომ ამჟამად საბჭო მსჯელობს დეტალური სფეროს 0111 „განათლების მეცნიერება“ აღმწერის ცვლილებაზე, რათა ჩამოყალიბდეს ისეთი ფართო შინაარსით, რომელიც უმაღლესი განათლების

საფეხურზე განათლების მეცნიერებების დეტალურის ფეროს ქვეშ სტუდენტებს შეასწავლის მათ შორის პროფესიული განათლების ადმინისტრირებისა და სწავლება-სწავლისა და სხვა ასპექტებს. თუმცა საბჭომ უნდა გაითვალისწინოს, რომ დეტალური სფეროს ქვეშ შემავალი სწავლის სფეროების დამატება მოხდება შესაბამისი ინიცირებისა და დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების საფუძველზე. მადონა მიქელაძემ დასვა შეკითხვა რადგან მიმდინარე ფორმულირება მოიცავს დიდაქტიკას პოლიტიკასა და ადმინისტრირებას, არსებული ფორმულირება ხომ არ გააჩენს კითხვებს, რომ ამ დეტალური სფეროს ქვეშ პროფესიული განათლების ადგილი არ არის? ნინო გოგლიჩიძემ განმარტა, რომ ამჟამად საბჭო მსჯელობს მადონა მიქელაძის მიერ ნახსენებზე უფრო ფართო შინაარსის მქონე ფორმულირებით აღმწერის შემუშავებაზე, კერძოდ, შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბებაზე: „განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს."

ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ იგი სხდომას ესწრება დამსწრის სტატუსით, ხმის უფლების გარეშე, და მისი აზრით მიმდინარე სხდომაზე კორექტირებული დეტალური სფეროს აღმწერის ფორმულირება აბსოლუტურად მისაღებია.

დაადგინეს

დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაადგინეს დეტალური სფეროს „0111 განათლების მეცნიერება" აღმწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: ***„განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს."***

მოისმინეს

განათლების პოლიტიკის სწავლის სფეროთვის დეტალური სფეროს ხელახლა განსაზღვრის თაობაზე. როგორც აღინიშნა, საბჭომ მე-2 სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება განათლების პოლიტიკის სწავლის სფეროდ განესაზღვრა 0188 ინტერდისციპლინური მოიცავს გაანთლებას. მიმდინარე სხდომაზე საბჭოს გადაწყვეტილებით მოდიფიცირებული განათლების მეცნიერების აღმწერის ცვლილების საფუძველზე, რომელშიც მითითებულია რომ მოიცავს განათლების პოლიტიკურ ასპექტებს, მიზანშეწონილია დეტალური სფერო განათლების პოლიტიკა კლასიფიცირდეს 0111 განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს ქვეშ.

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და სწავლის სფეროს განათლების პოლიტიკა Education Policy დეტალურ სფეროდ განუსაზღვრა 0111 განათლების მეცნიერება. აღნიშნული სფერო კოდით 0111.2.1 უნდა განთავსდეს განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს მე-2 სვეტში.

მოისმინეს

დეტალური სწავლის სფეროს „0111.1.1 განათლების მეცნიერებების Educational Sciences" ფორმულირების კორექტირებასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა ნინო გოგლიჩიძემ აღნიშნა, რომ უნდა დაკორექტირდეს მოცემული სფეროს ფორმულირება და ჩამოყალიბდეს მხოლობით რიცხვში რადგან მოცემული სფეროს დასახელება იუნესკოს დოკუმენტებშიც მხოლობით რიცხვშია. აღნიშნულს დაეთანხმა ნიკოლოზ ფარჯანაძე, მან აღნიშნა რომ ცნება„ განათლების მეცნიერებები" არ არსებობს საერთაშორისო სივრცეში და მხოლობით რიცხვში უნდა ჩამოყალიბდეს, ამასთან გაუმართლებელია დეტალურ სფეროს „0111 განათლების მეცნიერება" მხოლობით რიცხვში ერქვას სახელი და მასში კლასიფიცირებულ იგივე

სახელწოდების სფეროს მრავლობითში. ქეთევან ჭკუასელმა დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებებს. მან მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენლებს რომ გათვალისწინებულ იქნა სფეროს წარმომადგენელთა ინიციატივები.

დაადგინეს

დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაადგინეს დაკორქტირდეს დეტალური სწავლის სფეროს 0111.1.1 განათლების მეცნიერებების Educational Sciences ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 0111.1.1 განათლების მეცნიერება Education Science.

მოისმინეს

განათლების პოლიტიკის დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენლის, ნინო გოგლიჩიძის მოსაზრებები წარმოდგენილი ფორმულირებების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

- შესავლის 1-ელ აბზაცში წარმოდგენილ ფორმულირებაში „შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს“. მეთოდების შემდეგ უნდა ჩაემატოს „რესურსებს“;
- მიმდინარე სხდომაზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად შესავალს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის ბოლო აბზაცი: „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0111 განათლების მეცნიერება" აღმწერი მიზანშეწონილია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს.” მოცემულ საკითხზე გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO)-ს წარმომადგენლებთან კონსულტაციის გავლის შედეგად, რომლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებსაც „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) ეყრდნობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, დადგინდა, რომ ეროვნულ დონეზე შესაძლებელი უნდა იყოს ამგვარი კორექტივებისა და დაზუსტებების შეტანა დეტალური სფეროების აღმწერებში. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით (16.02.2023) მიზანშეწონილია განათლების პოლიტიკის სფერო განთავსდეს განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს ქვეშ, სამაგისტრო საფეხურის სწავლის სფეროებისთვის განკუთვნილ მე-2 სვეტში კოდით 0111.2.1.“
- ნინო გოგლიჩიძემ საბჭოს შეახსენა, რომ სწავლის სფეროს აღწერის 1-ელ აბზაცს რომელშიც საბჭოს წინა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების შესაბამისად უნდა დამატებულიყო განათლების პოლიტკის განმარტება, რომელიც ნიკოლოზ ფარჯანაძის შემოთავაზებული ფორმულირებით უნდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი ფორმულირების ქართულ ენაზე თანგმნით: „Education policy is the structural and systemic arrangements put in place that maximize the likelihood that educators and school systems will deliver desired experiences and outcomes for students.“ საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს წარმოდგენილი შენიშვნა, სიმონ ჯანაშიას, ალუდა გოგლიჩიძისა და რევაზ აფხაზავას აზრით, ეს ფორმულირება აქცენტს ზოგად განათლებაზე სვამს, მაშინ როდესაც სფეროს შინაარსი ბევრად უფრო მრავლისმომცველია. ირმა ქურდაძის თქმით, განმარტების დამატება საერთოდ არ არის საჭირო. ქეთევან ჭკუასელის მოსაზრებით, უნდა დაზუსტდეს რომ განათლების პოლიტიკა სფეროს სისტემური ხედვაა.
- ნინო გოგლიჩიძის თქმით სწავლის შედეგების უნარის ბოლო კომპონენტში მოცემულ ფორმულირებაში. „განსაზღვრავს შემდგომ ნაბიჯებს სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით შემუშავებული

გზების ადვოკატირებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობის მიზნით“. „მიზნით“ არის ტავტოლოგია და აჯობებს ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „განსაზღვრავს შემდგომ ნაბიჯებს სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის, შემუშავებული გზების ადვოკატირებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობის მიზნით“.

- ნინო გოგლიჩიძემ მე-5 თავის პუნქტში 1.2. 1-ელ პუნქტში მოყვანილ ფორმულირებაში: „სათანადოდ დაფინანსებული და მუდმივად განახლებადი დარგობრივი საბიბლიოთეკო ფონდები და სამართალში ელექტრონული საძიებო საბიბლიოთეკო წყაროები.“ ითხოვა დაზუსტება მხოლოდ სამართალთან დაკავშირებული ელექტრონული ბაზებია საჭირო პროგრამის განხორციელებისთვის თუ სხვა სფეროების საბიბლიოთეკო ბაზებიც დასჭირდებათ? მისი რეკომენდაციით მიზანშეწონილია მე-3 პუნქტში მოცემული ფორმულირება „საკომუნიკაციო სისტემები“ ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემები“

დაადგინეს

საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი მოსაზრებები. სწავლის სფეროს აღწერის 1-ლი აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „განათლების პოლიტიკა არის სისტემური მიდგომა, რომელიც ხორციელდება იმ კანონების, პოლიტიკის დოკუმენტების, ოფიციალურ გადაწყვეტილებების, პროგრამების, ღონისძიებებისა თუ აქტივობების მეშვეობით, რომელთა მიღება და დაგეგმვა ხდება ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე და რომელშიც აისახება განათლების სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი მიმართულებები, მიზნები და პრიორიტეტები. განათლების პოლიტიკა შეიძლება შეეხებოდეს მთლიანად განათლების სისტემას, სისტემაში არსებულ კონკრეტულ სექტორს ან სექტორებს და ასევე ცალკეულ პრობლემებს.“ მე-5 თავის „დამატებითი ინფორმაცია“ პუნქტში 1.2. 1-ეი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „სათანადოდ დაფინანსებული და მუდმივად განახლებადი დარგობრივი საბიბლიოთეკო ფონდები თუ ელექტრონული საძიებო სისტემები“. ხოლო მე-3 ქვეპუნქტი შემდეგნაირად: „ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემები.“

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სოფიკო ლობჟანიძემ სთხოვა საბჭოს წევრებს კენჭი ეყარათ განათლების პოლიტიკის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენისთვის, დათქმით, რომ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობა არ მიუღიათ გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრებს (ალუდა გოგლიჩიძე, სიმონ ჯანაშია, რევაზ აფხაზავა), რომლებიც ამავდროულად საბჭოს წევრებიც არიან.

დაადგინეს

საბჭომ დამსწრე წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა განათლების პოლიტიკის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას. საბჭოს მიერ დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N 1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 17:05-ზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

სოფიკო ლობჟანიძე 

საბჭოს მდივანი

ხათუნა ბარაბაძე

დანართი N 1

დანართი N

განათლების პოლიტიკის დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების II საფეხური
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

2023 წელი

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი[1] განათლების პოლიტიკის უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრავს შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ სტანდარტს და მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

განათლების პოლიტიკის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას უზრუნველყოს განათლების პოლიტიკის ანალიზისა და განსაზღვრისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების მინიმალური სტანდარტის შემუშავება და ამ გზით, ხელი შეუწყოს შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი განათლების პოლიტიკის სპეციალისტების მომზადებას.

დარგობრივი მახასიათებელი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე თავსებადი განათლების პოლიტიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, რაც წაახალისებს სტუდენტთა მობილობას, ხელს შეუწყობს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, პროფესიულ განვითარებას, მიღებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებასა, კვალიფიკაციის მფლობელთა დასაქმებასა და კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქართველოში დღესდღეობით არ გვაქვს განათლების პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვისა და შემუშავების სწავლების პრაქტიკა, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება და ქვეყანაში აღნიშნულ სფეროში არსებული გამოწვევები მიგვანიშნებს შესაბამისი ცოდნისა და უნარების საჭიროებაზე. აქედან გამომდინარე, განათლების პოლიტიკის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება და არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა უზრუნველვყოთ ეროვნული საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Education Policy.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 7 წელი.

წარმოდგენილი განათლების პოლიტიკის დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სწავლის შედეგების იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული განათლების პოლიტიკის სამაგისტრო (II საფეხურის) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად. დოკუმენტი ადგენს ცოდნის, უნარების შესაბამისი პასუხისმგებლობებით და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით გამოყენების სპექტრს განათლების პოლიტიკის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. მისი დაცვა სავალდებულოა განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის. თუმცა, ინოვაციების, მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურ შინაარსსა და მისი განხორციელების კონკრეტულ გზებს, მათ შორის დამატებით სწავლის შედეგებს.

განათლების პოლიტიკის დარგობრივი მახასიათებელი ხელს უწყობს კვალიფიკაციის მფლობელის კომპეტენციების დაკონკრეტებას და განათლების პოლიტიკის სწავლის სფეროს შესახებ სწავლება-სწავლისა და კვლევის არეალის განსაზღვრას. წარმოდგენილი დოკუმენტი მნიშვნელოვანი წყაროა (ა) მათთვის, ვინც მონაწილეობს / მომავალში მონაწილეობას მიიღებს განათლების პოლიტიკის სასწავლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებასა თუ განხილვაში, (ბ) სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ მეტი ინფორმაცია მიიღონ იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიცავს განათლების პოლიტიკის სწავლება და რა უნარებს შეიძენენ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ და (გ) დამსაქმებლებისთვის, რომლებსაც სურთ იცოდნენ, თუ რა ცოდნა და უნარები აქვთ კვალიფიკაციის მფლობელებს. დ) განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად დაევალებათ განათლების პოლიტიკის პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ყოველივე ეს კი არსებითად მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში ჯერ კიდევ არ გვაქვს განათლების პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვისა და შემუშავების სწავლების დიდი გამოცდილება და ტრადიცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0111 განათლების მეცნიერება" აღმწერი მიზანშეწონილია შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„განათლების მეცნიერება შეისწავლის სასწავლო პროცესს, სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას. ასევე შეისწავლის განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს.”** მოცემულ საკითხზე გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO)-ს წარმომადგენლებთან კონსულტაციის გავლის შედეგად, რომლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებსაც „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013)ეყრდნობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, დადგინდა, რომ ეროვნულ დონეზე შესაძლებელი უნდა იყოს ამგვარი კორექტივებისა და დაზუსტებების შეტანა დეტალური სფეროების აღმწერებში. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით (16.02.2023) მიზანშეწონილია განათლების პოლიტიკის სფერო განთავსდეს განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს ქვეშ, სამაგისტრო საფეხურის სწავლის სფეროებისთვის განკუთვნილ მე-2 სვეტში კოდით 0111.2.1.

II. სწავლის სფეროს აღწერა

განათლების პოლიტიკა არის სისტემური მიდგომა, რომელიც ხორციელდება იმ კანონების, პოლიტიკის დოკუმენტების, ოფიციალურ გადაწყვეტილებების, პროგრამების, ღონისძიებებისა თუ აქტივობების მეშვეობით, რომელთა მიღება და დაგეგმვა ხდება ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე და რომელშიც აისახება განათლების სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი მიმართულებები, მიზნები და პრიორიტეტები. განათლების პოლიტიკა შეიძლება შეეხებოდეს მთლიანად განათლების სისტემას, სისტემაში არსებულ კონკრეტულ სექტორს ან სექტორებს და ასევე ცალკეულ პრობლემებს.

განათლების პოლიტიკა არ არსებობს იზოლირებულად, პირიქით, ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა სფეროებთან როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ. განათლების სექტორი არის სხვა (საჯარო) სექტორებთან კავშირში და, შესაბამისად განათლების პოლიტიკაც, სხვა სექტორების პოლიტიკასთან და ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკასთან კავშირში განიხილება. ამასთან, სფეროს კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ის კავშირშია რეგიონულ თუ გლობალურ საგანმანათლებლო ტენდენციებთან.

განათლების პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკა და მისი მდგომარეობა, ასევე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული კონტექსტი. ის ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან, მის როლთან რეგიონში თუ მსოფლიო მასშტაბით და ამ მიმართულებით დასახულ პრიორიტეტებთან. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ განათლების პოლიტიკას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ყველა ამ სფეროზე და შეცვალოს არსებული კონტექსტი გრძელვადიან პერსპექტივაში. განათლების პოლიტიკის ძირითადი მომიჯნავე სფეროებია სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები, განათლების მეცნიერებები, ეკონომიკა, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, საჯარო მმართველობა, სამართალი და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ განათლების პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სიღრმისეული ანალიზისა და არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული კონტექსტისა და საგარეო პრიორიტეტების გათვალისწინებით მათი შედეგების შეფასების კომპეტენციების განვითარებას. ასე გახდება შესაძლებელი განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი როლის გააზრება, მისი ხარისხის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. ასევე მნიშვნელოვანია, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს პრობლემების იდენტიფიცირებასა და, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების შემუშავებას. ეს შესაძლებელს გახდის განათლების პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესებასა და მისი როლის ზრდას ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საგარეო გამოწვევების დაძლევაში. ამავე დროს, არსებითად მნიშვნელოვანია განათლების პოლიტიკის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს კვლევების, ობიექტური მტკიცებულებებისა და ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზის როლს, რადგან ამ გზით იქნება შესაძლებელი ინფორმირებულ გადაწყვეტილებათა მიღების ხელშეწყობა.

განათლების პოლიტიკის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წინაპირობები. განათლების პოლიტიკის პროფესიაში შესვლა შეუძლია სტანდარტით დადგენილი კომპეტენციებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს.

III. **სწავლის შედეგები**

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები არის ცოდნისა და გაცნობიერების, უნარის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები, რომელსაც უნდა ფლობდეს განათლების პოლიტიკის II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული და რომელიც არის საჭირო განათლების პოლიტიკის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან, სწავლის შედეგები სამ კატეგორიად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) დაყოფის გარეშე ჩამოაყალიბონ

ცოდნა და გაცნობიერება

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- იაზრებს განათლების სისტემას და მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ჩარჩოს; განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ცნებებს, კონცეფციებს მოდელებს, თეორიებსა და კონტექსტებს და მათ როლს ქვეყნაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების დაძლევაში.
- აკავშირებს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ისტორიულ კონტექსტს განათლების პოლიტიკასთან.
- ავლენს სიღრმისეულ ცოდნას პოლიტიკის ანალიზის (Policy Analysis) მეთოდების, პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პრინციპებისა და პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესის (Policy Process) შესახებ.

უნარი

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

✓ აანალიზებს განათლების პოლიტიკის მიმართულებით არსებულ პრაქტიკას, თანამედროვე მიღწევებსა და სფეროს გამოწვევებს.
✓ კვლევის რელევანტური მეთოდების, მონაცემთა ანალიზის ხერხების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ქმნის კვლევით ნაშრომს/პროექტს და ახალ ცოდნას.
✓ ობიექტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, კრიტიკულად აანალიზებს განათლების პოლიტიკის საკითხებს და შეიმუშავებს პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიულ გზებს.
✓ წერილობითი და ზეპირი ფორმით, კომუნიკაციის შესაბამისი არხებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიურ ან/და პროფესიულ საზოგადოებას მშობლიურ და/ან უცხო ენაზე წარუდგენს ანალიზის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს;
✓ განსაზღვრავს შემდგომ ნაბიჯებს სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისთვის შემუშავებული გზების ადვოკატირებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ✓ პროფესიული საქმიანობას ახორციელებს პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესისა და კეთილდღეობის პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით.
- ✓ საკუთარი საქმიანობით ხელს უწყობს განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული ცოდნის დაგროვებასა და განათლების პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის დამკვიდრებას.
- ✓ სწავლასა და საქმიანობას ახორციელებს როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით.
- ✓ განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს შემდგომ პროფესიულ განვითარებას.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები აუცილებელია ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის პრინციპებს.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს, წარმოაჩინოს მის სწავლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები და ამ დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობა.

სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლა- სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და, აგრეთვე, სხვა მეთოდები. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულმა მეთოდებმა უზრუნველყონ დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ახდენდეს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ განახლებას საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობების არსებობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლაში აქტიურად ჩართვა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენება რეალური გამოწვევების დასაძლევად ალტერნატიული გზების შემუშავების გზით.

ნებისმიერ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით. სწავლების გავრცელებული მეთოდები მოიცავს ლექციებსა და მეცადინეობებს, მათ შორის, ინტერაქტიულ სწავლებას, როგორიცაა სასწავლო პორტფოლიო, სემინარები, სამუშაო ჯგუფები, პროექტებსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, სწავლების სხვა ფორმები, მაგალითად, შერეული ტიპის მეცადინეობა და სხვ.

საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კომპონენტები შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში.

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სწავლის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა წიგნების/სახელმძღვანელოების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და კვლევითი ნაშრომების დამოუკიდებლად დამუშავება, წერილობითი დავალებების შესრულება, პრეზენტაციების მომზადება, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, პრაქტიკული დავალებების შესრულება; მსჯელობა შესაბამის თემაზე; ჯგუფური დისკუსიებში, ურთიერთშეფასებასა და სხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა; ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და სისტემატიზაცია; ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის/პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტის დამოუკიდებლად მომზადება.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან/და უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებასა და თანამშრომლობით მეთოდებსა და ჯგუფურ შეფასებას, აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს სხვა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

V. დამატებითი ინფორმაცია

1.1 აკადემიური პერსონალი

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამისა და ამ დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულებას.

1.2. რესურსები და ინფრასტრუქტურა

- ✓ სათანადოდ დაფინანსებული და მუდმივად განახლებადი დარგობრივი საბიბლიოთეკო ფონდები თუ ელექტრონული საძიებო სისტემები.
- ✓ სხვადასხვა ტიპის მონაცემთა (საკანონმდებლო, სტატისტიკური და სხვ.) ბაზებთან უწყვეტი წვდომა.
- ✓ ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემები.
- ✓ პარტნიორი ორგანიზაციები (სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო ან/და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) რომლებთან თანამშრომლობითაც შესაძლებელი იქნება პროფესიული პრაქტიკის გავლა, კვლევის ჩატარება და რეალურ პრობლემებზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.
- ✓ სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სწავლა/სწავლების, კვლევის განხორციელებისა და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობებს.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

6.1. გარე ინიცირების ფარგლებში დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/ დაწესებულება	თანამდებობა
1	ალუდა გოგლიჩიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განათლების პოლიტიკის ახალი სწავლის სფეროდ დამატების ინიციატორი, ინიცირების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
2	ბორის (ბუბა) ლეჟავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, აფილირებული პროფესორი
3	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი; პროფესორი
4	შალვა ტაბატაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, ასოცირებული პროფესორი; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე
5	სიმონ ჯანაშია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი; გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკული აკადემია თბილისში, საზოგადოებერივი პროგრამების ხელმძღვანელი.
6	გიორგი ნოზაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, აფილირებული პროფესორი; საბაზისო განათლების პროგრამის სწავლება/სწავლის დირექტორი, აშშ-ს საერთაშირისო განვითარების სააგენტო (USAID)/ კვლევის სამკუთხა ინსტიტუტი (RTI).
7	პაატა პაპავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, აფილირებული ასოცირებული

			პროფესორი; საბაზისო განათლების პროგრამის წიგნიერების მიმართულების ხელმძღვანელი, აშშ-ს საერთაშირისო განვითარების სააგენტო (USAID)/ კვლევის სამკუთხა ინსტიტუტი (RTI).
8	მაია ზიბზიბაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ექსპერტ-კონსულტანტი
9	ნიკოლოზ სილაგაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის საბჭოს წევრი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი; განათებისა და მეცნიერების სამინისტრო, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტი, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი.
10	გიორგი მაჩაბელი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი; განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი
11	რევაზ აფხაზავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი; კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო“-ს განათლების პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი
12	ლილი ბიბილაშვილი	ადამიანური რესურსების ეროვნული ასოციაცია	გამგეობის თავმჯდომარე; HR პროფერიონალთა გილდიის აღმასრულებელი დირექტორი; პროფესორი
13	ნინო ძოწენიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლა, ასოცირებული პროფესორი
14	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია	პრეზიდენტი
15	სალომე ჩიტორელიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის აკადემიური პროგრამების დირექტორი, ასისტენტ-პროფესორი

6.2. განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	რუსუდან სანაძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
2	ხათუნა ბარაბაძე	შპს თანამედროვე განათლების აკადემია	პედაგოგიკის დოქტორი, დირექტორის მოადგილე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი
3	ეკატერინე ფიფია	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
4	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5	მადონა მიქელაძე	სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
6	ნინო ბასილაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
7	ზურაბ ბერია	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის	ფიზიკის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

		სახელობის ქართული უნივერსიტეტი	
8	ქეთევან ჭკუასელი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი
9	ზაქარია ქიტიაშვილი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საგნის სწავლების მეთოდიკა“ ხელმძღვანელი
10	ეკატერინე გიგაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
11	სიმონ ჯანაშია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის საზოგადოებრივი პროექტების კოორდინატორი
12	ალუდა გოგლიჩიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, კავკასიის განათლების სკოლის დეკანი
13	თამარ კაკუტია	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროფესორი, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი; UNESCO-IIEP-ის, პროექტის - ”საქართველოს პროფესიული და სკოლამდელი განათლების სექტორის პილოტირების მთლიანობის შეფასება” პარიზის ოფისის ადგილობრივი ექსპერტი
14	ნათია ანდღულაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, კონსულტანტი განათლების საკითხებში
15	თამარ ბრეგვაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების

			სკოლის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია / Erasmus+ საქართველოს ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმების ექსპერტი, მკვლევარი, საბ ჭოს წევრი
16	ელენე ჯიბლაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევითი ცენტრის დამაარსებელი
17	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი განათლების მეცნიერებების მიმართულებით, განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი
18	ხათუნა დოლიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ადრეული ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, სერთიფიცირებული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტი, ჯოენის სამედიცინო ცენტრის ფსიქო-სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი
19	მიხეილ გიორგაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
20	ნინო ძოწენიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	შედარებითი და საერთაშორისო განათლების დოქტორი, შპს ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, არაფორმალური განათლების ახალგზარდული ცენტრის „მზიანი სახლი" დამფუძნებელი და ტრენერი
21	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
22	ეკატერინე მიქაუტაძე	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბიოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარზაციის სამსახურის სპეციალისტი
23	სოფიო უგრეხელიძე	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის უმაღლესი განათლების მიმართულების მენეჯერი

24	ნინო წერეთელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
25	მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მკვლევარი
26	რევაზ აფხაზავა	კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia)	კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia) - გამგეობის წევრი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM) გამგეობის თავმჯდომარე, პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი მასწავლებელთა პროფესიული სერვისების დეცენტრალიზაციის საკითხებში
27	ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი	საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი
28	ქეთევან შარვაძე	ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	ბაგა-ბაღებისგანვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულებელი
29	ნინო ბეგლარიშვილი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის ქვეპროგრამის მენეჯერი